საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №49

2011 წ. „11“ 04

ქ. თბილისი

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 11 აპრილის №5 სხდომის ოქმის შესაბამისად

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიჩნეულ იქნას, რომ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს და მიეცეს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება:

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	საფეხური	კრედიტები	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
1	პრაქტიკოსი ექთანი	V	150	პრაქტიკოსი ექთანი
2	პრაქტიკოსი ბებიაქალი	V	120	პრაქტიკოსი ბებიაქალი

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 11 აპრილის №5 სხდომის ოქმის მე-7 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

საბჭოს თავმჯდომარე

კახი ყურაშვილი

საბჭოს მდივანი

გაიანე სიმონია